კვირა 21 თებერვალი

ფასი 10 კაპ.

# მათრახი

№ 8. — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.



„სიფხიზლის“ საზოგადოება.

— ბ...ბ...ბა...ტ...ბო!.. ჩ...ჩ...ჩვ...ნ... უნ...დ...ა... შე...ვაგ...ნ...ოთ... ბნ...ე...ლ... ხ...ხ...ხა...ხს... რომ... არრრრრრ...ა...ყი.. სა ..საწ...ვია...

— ზარრრ... უმაა!..

## მასწავლებელი.

(მელიტონ ჩოგოვაძის ხსოვნას)

სიკვდილის შავი ხელი შეეხო
და შეუწყვიტა ძგერა გულისა.
ძირში მოსწყვიტა დაუნანებლათ
ამაყი ვარდი გაზაფხულისა.
თეთრი გვირგვინი
მისთვის არა მსურს,
ვერ გამოხატავს
იმის სამსახურს!
ყვავილთ მივუძღვნი
ტურფათ შეფუთვნილს,
გზა ეკლიანსა იგი ეკუთვნის!
და ზედ დავაპნევ თავსა, სახესა,
თვალს, სიცოცხლეში ცეცხლის მფრქვეველსა!
მადლობის ნიშნათ გაყინულ გულზე
ცრემლთ დავაპკურებ მასწავლებელსა!

**იასამანი.**

---

## „სამშობლო“ განსაცდელშია!

(დრამატიული საზოგადოების კრებისა გამო)

დიახ, სამშობლო განსაცდელშია!!

რამდენიც უნდა ყური მოვიყრუოთ, რამდენიც უნდა თვალები დავიბრმავოთ, რამდენიც უნდა გრძნობები მივიჩლუნგოთ, და რამდენიც უნდა გონება დავიბნელოთ, ჩვენი „სამშობლოს“ განსაცდელი, მისი აუცილებელი გადაგვარება მზესავით ნათელია, ხვალინდელ დღესავით უეჭველია!

ენა დაეცა, ნიჭი დაჩიავდა, ქონებამ თავი დაგვიკრა და დღეს, დიახ დღეს ვხედავთ, რომ ჩვენი ქართველური გულიც, მამულიშვილური ნდობაც, სადღაც გამქრალა, წარსულს ჩაჰბარებია!

ოჰ, დაუნდობელო ბორბალო ცხოვრებისა ჩვენისაო! ტრიალებენ და ტრიალებენ დაუდგრომელნი ფრთენი შენნი ცვალებად ყოველივე ამაოისა.

შენვე წარხოცე ქართველური სიამაყე ჩვენი!

მწვანე სევდის ცეცხლით აენთო ჩემი გონების სახსარი, როცა „დრამატიული საზოგადოების“ კრების ანგარიში წავიკითხე. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ასეთი დაცემა, ასეთი დაქვეითება!

კეთილშობილი ქართველი თავად-აზნაურობა რაღაც ანგარიშებს თხოულობს! არა, ნუ თუ თქვენ შეგიძლიათ გულდამშვიდებით მოისმინოთ ეს უკანასკნელი ნაბიჯი ჩვენი ეროვნული უკუსვლისა და გადაგვარებისა?

ქართველი თავად-აზნაურობა და ანგარიშები!!!

სჩანს მართალი ყოფილა თქმულება „არ გარდივლის გარდუვალად, მომავალი საქმე ზენა“-ო. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი!

შარშანდელი თოვლივით გამქრალა მამაშვილური ნდობა და მამა-პაპური პატივი ულვაშებისა. საკმარისია რამე საზოგადო ფულებში ხელი გაურიო, რომ მაშინვე ანგარიში მოგთხოვონ, მაშინვე ეჭვისთვალით შემოგხედონ! ანგარიშიანობა ჩვენ სომხებისა გვეჯავრებოდა, ახლა კი ქართველობაშიაც მოიკიდა ფეხი და არა თუ უბრალო ქართველობაში, თვით ეროვნების დედა-ბოძში, ქართველ თავად-აზნაურთა სიმაგრეშიაც შეიჭრა.

საბრალო გოთუა! ეს ერთად-ერთი გულუბრყვილო ქართველი და შერჩა ჩვენს მამულს!!! მხოლოდ ისა გრძნობს მთელი თავისი სიმწვავით თავად-აზნაურთა გადაგვარებას. მას, დამსახურებულ ქართველ მოღვაწეს, უუნიჭიერეს ქართველ დრამატურგს და უუპატიოსნესს ქართველ მოქალაქეს, რაღაცა ფულების, ხელის ჭუჭყის, ანგარიშებსა სთხოვენ! განა ეს არის სამართალი?!! განა საკადრისია ასეთი იჭვი ამგვარ მოღვაწეთადმი? განა საზოგადო საქმეში, და ისიც ქართულში, გაგონილა ანგარიშები? განა სულ ერთი არ არის როგორ და რაში დაიხარჯა საქველმოქმედოთ გაღებული ფულები? რომელი ქართველი მოღვაწე იკისრებს საზოგადო საქმეში ჩაბმას, თუ მას ანგარიშებსა და სხვა ამგვარებს მოვსთხოვთ? არავინ, არავინ და კვალად არავინ!

ესღა აკლდა ჩვენს ისედაც დუხჭირ ცხოვრებას და ამასაც მოვესწარით.

საზოგადო საქმეში ანგარიშებს თხოულობენ!!!

**ეშმაკ**

---

## „მსაჯულები“

დაეძებდა რამ საბილოს
ერთი დამშეული მგელი
და სოფელში შემოიჭრა
ეგ მსუნაგი, საძაგელი.
დაურბინა, დააყურა
აქ ქალთაში, იქ ბოსელში
და ბოლო დროს, როგორც იყო,
ერთი ცხვარი იგდო ხელში.
სტაცა პირი, დაიჭირა,
წამოიგდო ზურგზე იგი
და გასწია. (იცის იმან
ცხვრის წაღების თადარიგი).
აღარ დარჩა მგლის ხახაში
ცხვარს საშველი, რამ საღონი
და გაბა მან ყვირილი
მთელი სოფლის გასაგონი.
წამოიჭრა ცხვრის პატრონი,
ეცა ბოსელს, ქალთას, ბაგას
და ცხვარი რომ აღარ იყო
დაიყვირა: „კეი მაგას!!
ნუ გაატანთ, ემაგ წუწკმა
ამოაგდო სოფელიო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსა ძაღლებო, არ გაუშვათ
ჩემი დამმხობელიო!!“
უკიჟინა, გამოუდგა,
მოიწურა ოფლის ღვარი,
თან ძაღლების ატყდა ყეფა
და გაუშვა მგელმა ცხვარი.
დაიმშვიდა გლეხმა გული
ნარბენი და ნაყვირალი
და ასწია მისი ცხვირი
წუწკი მგელის ნაკბილარი
მოიყვანა, მოუარა
მოუწმინდა იარები
და დალექრა იგი ცხვირი,
მგელის ჩანაზიანები.
საექვოა, საზოგადოთ,
შეკბენილის გადარჩენა,
ცხვარმაც მთელი იგი ღამე
სულ კრუსუნით გაათენა.
რა გათენდა, სოფლელებმა
მისცეს ცხვარზე საჩივარი,
არ აკმარეს იმ საცოდავს
წუხანდელი სატკივარი.
უჩივოდენ: „ამ ცხვარმაო,
გვაწყენინა ამითაო,
რომ ყვირილით გაგვაყრუა
წუხელ, შუაღამითაო.
მან ძაღლებიც აიყოლა, —
ყურთა სმენა წაიღესო,
მყუდროობა დაარღვია,
ნუ შერჩება მაგას ესო!!“
დაჯდენ ამის მსაჯულები,
რიცხვი სრულად, ვგონებ, შვიდი,
(ამ საქმეზე შეკრბენ, თორემ
სხვა დროს ერთად ვერ ნახვიდი).
ისხდენ, იბჭეს, ითათბირეს
შეაყენეს განაჩენი
და ცხვარს „გაფრთხილება“ მისცეს...
(მოისმინეთ დანარჩენი)
უთხრეს: „სოფელს შუაღამისას
მოსვენება სჭირიაო,
შენ კი ამ დროს, თურმე, ბრიყვო,
ცივ ცივათ გიყვირაო.
შენისთანა, ვიცით, იმ მგელს
ბევრი შეუჭამიაო,
მარა რავქნათ, შენი ტვირთი
შენვე ზიდე ძამიაო!
რამდენს მგელი მოგადგება
შესაჭმელად კარზე-შინო.
აქ სოფელი რაშვაშია,
რომ იყვირო, არ აძინო?
ამისათვის, ამას ამბობს
გონიერი ის კრებაო,
რომ სასჯელი უდიდესი,
შეგფერის, გეკადრებაო.
მარა რადგან უვიცი ხარ
რა ვქნათ, შეგრჩეს ეგ ერთიო
პირველია ეგ შეცდომა,
მოგეხმარა შენ ღმერთიო.
შემდეგისთვის, უბედურო,
თუ გაბედე კიდე ესო,
ნახავ მაშინ, თავხედობა
შენ რამდენათ დაგიჯდესო!

---

რაღათ გინდათ რომ გიამბოთ
შემდეგი და დანარჩენი?!
რაც სოფელი, ის მსაჯული,
ისიც მისი განაჩენი....

ა. ბლიკვაძე.

## დეპეშები გურიიდან.

(ლიკლიკაძის სააგენტო)

**ოზურგეთი.** მოულოდნელი ამბის გამო გორგასლიძე ლოგინათ ჩავარდა. მომვლელი არავინა ყავს მელიტონის გარდა, რომელიც ყოველ დღე პარაკლისს იხდის.

**იქიდანვე** საქალებო სკოლის მასწავლებელ ქალებს ადგილი დაუბრუნეს, რამაც თავ-ზარი დასცა . . . . . სტირიან რემინგტონზე უბეჭდიო საპროტექციო წერილს.

**შემოქმედი.** (დამატებითი დეპეშა) შეტაკების დროს ყორეს გარდა სასიკვდილოთ დაჭრილა ჩხიკვაძის კატა, რომელიც უკვე გარდაიცვალა. ჩხიკვაძე ზარალს პოლიციას უჩივა, რადგ ნ კატა ბერდანის ტყვიით არის მკვდარი. საქმის წარმოებაზე ფინკოვმა უარი თქვა, მაგრამ როგორც შემოქმედლების სიძე, პლატონი შეუდგა.

**შემოქმედი.** ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აღდგენას მალე შეუდგებიან.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთმა უთხრა შუხუთსო:
თავი ტყუილათ გიხურსო,
„მარინცკი“ სასწავლებელი
სახუნტრუცოთა ნუ გვსურსო.

**ოზურგეთი.** დაიბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა: 1) პოემა „გლოვა მელიტონისა“ — გორგასლიძის გადაღების გამო. 2) „პრისტაო ჩვენო!“ პოემა მღვდ. ბარნაბა თენიეშვილისა.

ორივე პოემა ნოტებზე გადიღო მელქისედეგ ათონელმა.

**ბახვი.** ვაი სამსონ
უი სამსონ,
ნეტავ როგორ დაგაფასონ?

**ოზურგეთი.** სობოროს დეკანოზის კანდიდატმა მღ. მაქსიმე სიხარულიძემ რუსულათ სწირა. რუსები გაიქცენ — ქართველებმა ბევრი ისიამოვნეს. — სიცილით გული იჯერეს.



## დათრგუნვა. ფეხ-წარკვეთილისა.

ავათმყოფი. (დასუსტებული ხმით) ბ-ნო ფერშალო, მგონი ეს ტერმომეტრი არ არის დარეკილი. გთხოვთ ზომაზე დააყენოთ, მე ამისი ღონე არ შემწევს.

ფერშალი ქალი. (წყრომით) ხმა გაიკმინდე. იმისი ნება ავათმყოფთათვის არავის მიუცია, რომ ფერშლებს შენიშვნა აძლიონ.-.




## წერილის მოდარაჯე.

ვინმე სამათრახო. ხუთი საათი გამრგვალდა
აქა ვარ დაყუდებული
სარედაქციო წერილი
მაქვს ყუთში გადაგდებული.

ფოსტალიონი. აქედან მისი წაღება
არ მოხერხდება მგონია.

ვინმე სამათრახო. „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“
ეს შენ ხომ გაგიგონია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩემო სულის დგმავ!..

—

ჩემო სულის დგმავ, ხორცსხმულო ტანჯვავ,
ეკლის გვირგვინით თავ შემკობილო,
ხელ-დაკოჭილო, ფეხ-დაწყლულულო,
ოფლში და ცრემლში გამოწრთობილო!
შენსავ ტანჯვის ჩანგს-შენი მგოსანი
ფრთხილად ჩამოჰკრავს ანათრთოლ თითებს:
ააქვითინებს კაეშნიანად,
ველსა მოაპნევს მსუბუქ ხმის ზვირთებს...
სიო დაუვლის, ხმებს გაიტაცებს.
ყვავილებ შორის მოარონინებს,
მათ ნაზ გულებზე ფრთხილად მიაწვენს,
რწევას დაუწყებს და უნანინებს.
მათ იამებათ, ტურფა ყვავილებს,
ეგ მწარე ხმები-ტანჯვის მოთხრობა
და ეცდებიან, რომ არ მოაკლონ
ხსურველ სტუმარს კარგი მოპყრობა:
ზოგი საამო სუნსა მოაკმევს,
ზოგი მკერდიდან ნექტარს ასხურებს,
ზოგიც ნაწამებ შუბლს გაუსინჯავს
და ზედ ხელს ფრთხილად გადააცურებს,
რომ არ გაეკრას მაზე იარებს,
არ აიშალონ ისევ წყლულები
და არ გადმოსკდენ ნაჩვევ უგზო გზით
სისხლის მორბედი ნაკადული!..
ჩემო სულის დგმავ! შენსავ ტანჯვის ჩანგს
ფრთხილათ ჩამოვკრავ ანათრთოლ თითებს,
გულს დაგიამებ, ოფლსა გადაგწმენდ,
მომაბეზრებელს ჩამოგხსნი ტვირთებს!
ხმას მიგადარებ თავისუფალსა...
თვით გავიქცევი იქ, მინდორ-ველათ:
დავკრეფ ყვავილებს და შენ მოგიტან
ნაწამებ შუბლის შესამკობელათ.
შენც ნუ დამიშლი. . ეკლით დაწნული
შენი გვირგვინი ძირს გადმოიღე
და ნაცვლად კონა ყვავილებისა,
ვით მცირე ძღვენი, ჩემგან მიიღე!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

## ეშმაკის ინტერვიუ.

### პართენ გოთუასთან.

პირადი ანგარიშები საზოგადო საქმეში არასოდეს არ უნდა გაერიოს. საქვეყნო საქმემ მოითხოვა და მიუხედავათ ჩემი უკიდურესი მისდამი მიუდრეკელობისა, მაინც გეახელით პართენის უკანასკნელ რეზიდენციაში.

წარმოიდგინეთ, ვერაფერი იმის მაგვარი, რაც [illegible] ტყვიის“ მტყორცნელი და წარმოიდიინეთ, არც არავითარი ნაგანის რევოლვერი იქ არა სჩანდა.

სამაგიეროთ ამ ბოლო ხანებში ჩვენი დაულალავი მოღვაწე ერთობ გამოცვლილა. ზის უფრო დინჯათ, ჭკუიან კაცსავით, ლაპარაკობს წყნარათ და მოფიქრებულათ.

— რით შეგვიძლია დაგეხმაროთ! თავაზიანად მომმართა შესვლისათანავე.

— ორიოდ სიტყვის მოწოდებით.

— „სიტყვა“ აქ არა მუშაობს. ის ჩვენი დაუძინებელი მტერია' თითქო სხვა სალაპარაკო დაელიაო, მუდამ „ქართულ რუსულ“ გაზეთებზე ჩხაპნის და ჩმახავს ჩმახავს და ჩხაპნის!

— არა, მე ის ,,სიტყვა“ სრულიადაც არა მქონია სახეში...

— როგორ, სახეში? სახეში?.. გოთუამ ინსტიქტიურათ მიიფარა ხელი სახეზე, თითქო განსაცდელი რამ ყოფილიყოს მოულოდნელი.

— რატომ გეუცხოვათ? მე მსურს ცოტა ანგარიშების შესახებ...

— სწორეთ ვერ გამიგია... თქვენთან მე რა ანგარიშები მაქვს გასასწორებელი. ამ ლაპარაკში მან მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო და რაღაცა გააჩხაკუნა

— მაკვირვებს თქვენი მოუთმენლობა. მინდა გავიგო დრამატიული საზოგადოების გამგეობის ანგარიშები. გავიგონე, თითქო თქვენ ამის შესახებ საყვედურები შეგხვედროდეს.

— ჰოოო! ეს სხვა საქმეა. ეს რამდენიც გნებავთ!..

— მართალია ის ხმები, ვითომც საზოგადო კრებას ანგარიშების მოთხოვნა გაებედოს?

— წარმოიდგინეთ, წარმოიდგინეთ მართალია! აი ამ დღეს მოვესწარით, ბ-ნო ეშმაკო, ღვთისა და თქვენის წყალობით!

— თქვენს ოჯახში ყოფნით არ ისარგებლებთ მგონია და შეურაცხყოფას არ მომაყენებთ. მე ამ საზარელ საქმეში არავითარი წილი არ მიძევს.

— ოჰ ღმერთო ჩემო, როგორ გიგოსავით უცებ ადუღდებით ხოლმე. ადამიანს ყველაფრის მოთმენა უნდა შეეძლოს. ჩემის აზრით თქვენ საზოგადო მოღვაწეთ არ ივარგებთ

— რასაკვირველია, რა თქმა უნდა! თქვენ ის მიბრძანეთ, რა პასუხი მიეცით თავაშვებულ კრებას?

— რა პასუხი უნდა მიმეცა? ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ მე იქ რაღაც ციფრების ჩხრეკაში დავკარგავდი იმ ძვირფას დროს, რომელიც საჭირო იყო ეროვნულ სასცენო ხელოვნებისა და ლიტერატურის ასაყვავებლათ.

— მომწონს, მომწონს!

— [illegible]

— რა თქმა უნდა 1905 წელში ვერ გაბედავდენ. მაშინ, როგორც ვიცი არა ორი და სამი ათასი, არამედ ორმოცსა და სამოც ათასებში გქონდათ ხელი, მაგრამ ანგარიში არავის მოუთხოვია.

— გასაოცარია სწორეთ! რის ანგარიში, რა ანგარიშიო. მე საზოგადოთ არ მიყვარს ანგარიში. ჩემი საკუთარი თავისათვის ვერ მიმიცია ანგარიში, არა თუ იქ ვიღაც ურა თავადებს ვაძლიო.

— სრული ჭეშმარიტებაა!

— მე რომ ამდენი ანგარიშის თავი მქონოდა, განა დავიწყებდი ამ მირზოევის საქმეში ქექას?

— ვითომ რატომაო?

— რატომ და იმიტომ, რომ საბოლაოთ ყველა მართალი გამოდის, ხოლო შეურაცხყოფილი და დამნაშავე ერთად ერთი მე ვრჩები.

— თაგვისა და კატის ამბავი მოგსვლიათ.

— რომელი თაგვი და კატაო! ყოველგვარი უბედურება ჩემთან იყრის თავს.

— ანგარიშების საქმეს მაინც როგორ აპირობთ?

— აბა რა ვიცი თუ მაინცა და მაინც არ დაუშლიათ, დავჯდები ერთ საღამოს და ჩამოვწერ რასმე რა დიდი საქმე მაგას უნდა. მე გულსა მტკენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ხალხი გაფუჭდა, ერთმანეთის ნდობა დაეკარგა საზოგადო საქმეში ანგარიშები გახშირდა და მოღვაწის მდგომარეობა ამით აუტანელი შეიქნა.

— თქვენ აპირობთ დარჩენას გამგეობაში?

— რა მოგახსენოთ. თუ ძლიერ შემეხვეწებიან რავქნა, უარს ვერ ვეტყვი.

— ანგარიშიც რომ მოგთხოვონ?

— რაო? ანგარიში?!! უკაცრავათ! მე არავის მივსცემ იმის ნებას, რომ ჩემს მოღვაწეობას იჭვის თვალით შეხედოს.

— მაშ რას იზამთ?

— ან სრული თავისუფლება მოღვაწეობისაგან, ან სრული თავისუფლება ანგარიშებისა და ეჭვებისაგან.

— საუცხოვოა!

— საუცხოვოც არის და სავალდებულოც.

**ეშმაკი.**

---

## რა შეიტყვე ჩიტუნიავ?

რა შეიტყვე ჩიტუნიავ,
ეგ გული რამ გაგიხურა?
ვინ გითხრა თუ ზამთრის სუსხი
მინელდა და მიიწურა?
რომ დაცელქობ ტოტით-ტოტზე
დანავარდობ და ჭიკჭიკობ,
ალბათ იგრძენ გაზაფხული
და შემოქმედს აქებ, ამკობ.
შენებრ ტურფა ჩიტუნია?
მორცხვათ კრძალვით ყურს რომ გიგდებს
გულის კარი გაუხსნია! .
ჰა, მივხვდი... შენც მოგინახავს
სატრფიალო სულის სწორი,
და გგონიათ ემხით მთვრალებს
თქვენ ხართ ქვეყნათ მარტო ორი! .
ოჰ ნეტავ თქვენ, მაგრამ მე კი
ამიშალეთ მძიმე წყლული,
მომაგონეთ სატრფო ჩემი
მტარვალთაგან შებაწრული'..
საცრემლოთაც ვერ ვიმეტებ
არ მგონია დაკარგული...
მაშ ჯერ რა გვაქვს ჩვენ საერთო,
მე კვნესა, შენ სიხარული!

**შხანკოლ.**

---

## დეპეშები.

(სამტრედიის რაიონიდან)

(«ვარგისთა სააგენტო»)

**დ. სამტრედია.** ამ ცოტა ხანში აქ ერთი აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. ექიმ-დოხტურ-აკუშორ, დანტისტ ქირურგ ნესტორს ერთი ავათმყოფისათვის დაენიშნა წამლიან ბოთლში გაძრომა. ასეთი საოცარი ოპერაციის შემდეგ ექიმს მარტოთ მარტო ავათმყოფის ფეხები-და შერჩა ხელში. სხვა ნაწილები ტანისა კი საზღაპრო ბოთლმა შთანთქა უმოწყალოთ. მოველით პატრონ-ჰკირისუფალთ, მაგრამ გამკითხავი არვინაა?!? ისევ ვიმედოვნებთ დარჩენილი ფეხების მოსალოდნელმა სიმყრალემ შეიძლება აღმოაჩინოს ჭეშმარიტი მიზეზი ასეთი უბედურებისა.

**იქიდანვე.** სამტრედიის მოსალოდნელი საავათმყოფო როგორც ამბობენ კურსევისაკენ გადაფრენას ეპირება. ამბობენ ეს ახალ მოდის ფარულ ავიატორთა მოხერხებით ხდებაო.

**იქიდანვე.** ზოგიერთ ვაჭარ-ნოქრებს ისე შეუყვარდათ ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რომ ხან და ხან მეტის კითხვისაგან თვალებს ასვენებენ და მუდმივ გასართობათ ბეჟანასთან მიდიან: აძლევენ თითო შაურს, ამღერებენ-აცეკვებენ და მეტი სიცილ ხარხარით გამვლელთა ყურადღებასაც იპყრობენ.

**იქიდანვე.** ხონის ქუჩაზე ღამით მეტი განათების მიზეზით ჯერ-ჯერაობით ერთი დიდი კატასტროფა მოხთა: ეტლები ერთი მეორეს დაეჯახენ და სამი მგზავრი დააშავეს ერთი მძიმეთ, ხოლო სიკვდილი არავის არ უფიქრია. კარგი გზის წყალობით ერთმა ფეხი ხელით წაიღო, ხოლო მეორე მგზავრი კი დილით ადრე ამოიყვანეს ღრმა ტალახიდან და დახრჩობას გადაარჩინეს. სხვა ქუჩებში კი ჯერ მშვიდობიანობაა.

აქა ვერ დაყუდებული

არ მოხერხდება მგონია

## გრძნობა და გონება

(ვაჟასებური).

გრძნობამ ლაღათ ფრთა გაშალა,
უდარდელათ გაეცინა,
კარმიდამო გადაკოცნა,
ცის ტატნობში აიფრინა,
ვარსკვლავს სხივი გამოსტაცა,
გულში თრთოლვით ჩაიწვინა,
შვების ზღაში გადასცურა
ინეტარა და ილხინა
სულ ქვეყანას ჩაეკონა,
სამყაროსაც ის ეტახტა,
დაივიწყა სევდა, დარდი
და სიმწარე რაც გადახდა...
მდევათ ქმნილი, უძლეველი,
თვით მწვერვალებს გადალახდა,
მარა უძლებს ქვეყნის ტრფობით,
წინ გონება ჭკუა დახვდა ..
ასე უთხრა: ვერ გაგიშვებ,
უნდა გახლდე მეც თანავო,
ჩემთანა ხელ ჩაკიდული
უნდ მოვლო ქვეყანავო.
მეც წილ ვიდებ შენს ბრძოლაში,
უნდა მოვიდე შენთანავო
და თუ ერდგულ მოძმეს პოვებ
გეწყინება შენ განაო?
ეს უთხრა და განაცივმა
გრძნობას საზღვარი დაუსვა,
თავ-ნავიწყი ალტაცება
გულში ჩაუკლა, ჩაუწვა,
თვის კალაპოტში აქცია
ანაქაფები, მჩქეფი ზღვა,
არა ისმინა სათუთის
ტკბილი მუდარა და რისხვა ..
ამ დღიდან კლდეთ გადაექცა
ჩემს გრძნობას ჭკუის საზღვარი,
მათი ჭიდილის დასასრულს
ვერ ვხედავ, ვერ მოვესწარი...
ვინ გაიმარჯვებს არ ვიცი,
გამომცნობელი სადარი?
ეგეთი უთანხმოება,
თქვენი ჭირიმე, რად არი?

**ვ. ბალაქიაშვილი.**

---

## დეპეშები.

(„მიხაკოს" საგენტოსაგან.)

**ხაშური**. კანტორის მოსამსახურე,—საფონოვი ენერგიულათ დაეძებს, მაგრამ ჯერაც ვერ იპოვნა... (გამოტოვებულია) სამწუხაროთ.

**იქიდანვე**. „ვექილმა",—ვ. ძნელაძემ, 428 სტატიის ძალით, და აგრეთვე გულ უბრყვილობის ძალითაც, „ალმოაჩინა" ერთი ,,პროვოკატორი, რისთვისაც მას უმაღლეს, ჯილდოთ ეპოშა ერთი მათრახის კუდი, ზედ წარწერით:—,,გულუბრყვილობისათვის'' ..

**იქიდანვე**. იმავე ,,ვექილმა,''—ვ. ძნელაძემ ამასწინათ, 130 სტატიის ძალით ბ. ფსევდონიმი გამოააშკარავა... უკანასკნელმა გულმოსულობით, ახლა ბ ძნელაძეს სამაგიერო გადაუხადა, და მისი ნებსითი, თუ უნებლიეთი პროვაკაციული ხასიათი გამოააშკარავა. ასე, რომ ხაშურში ახლა კარგათ იცნობენ, როგორც ერთს, ისე მეორესაც..

**იქიდანვე.** სან. პაპინაშვილმა ,,გადასწყვიტა,'' რათაც უნდა დაუჯდეს ,,გაუსწორდეს.'' გ.—ლის... ხოლო მისი ამხანაგები დღეში ორჯერ გალანძღოს ..

**შორაპანი**. ყვირილის და შორაპნის რკინ.-გზის მოსამსახურეებმა ამ დღეებში დაადგინეს,—ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, რათა გადატანილ იქნას ქ. ქუთაისში: ყვირილა, შორაპანი და აგრეთვე ჭიათურის შტოც, რადგან აქაურ რკ. გზის მოსამსახურეთა ექიმი,—ბ. წერეთელი იქ (ქუთაისში) ცხოვრობს და სრულებით ვერ აკმაყოფილებს მისი კვირეში ერთხელ ჩამოსვლა მოსამსახურე ავათმყოფებს...

(„ვილე ეშმაკის" სააგენტო)

**მაიმუნეთი.** (ძველათ ქუთაისი) აქაურმა ინტელიგენციამ გადასწყვიტა იმდენი გაზეთი გამოსცეს, რამდენიც აქ (მაიმუნეთში ქუჩაა)...

**ჭიათურა.** ვინაიდან ადგილობრივ საავათმყოფოს ჯერჯერობით საყინულე არა აქვს, გადაწყვეტილია ამ საგნისთვის აქაური აბანო მოიხმარონ.

**ხონი.** აქაური ვაჭრები გაფაციცებით ყიდულობენ ვარდებს და სხვა და სხვა ყვავილებს. საგულისხმიერო სიმპტომია: ალბათ ვინმე ,,ძლიერი ამა ქვეყნისა'' ვიზიტს უპირებს ჩვენს მანჩესტერს.

**მაიმუნეთი** ,,ანფისას'' ამ დღეებში ჩამოალჩობენ. ჯალათობა აქაურ კოსტომაროვებს ერგო.

**ნიუიორკი.** (დაგვიანებული ცნობა) ამა წლის იანვრის პირველ რიცხვებში ,,დროების'' ფურცლებზე გამოჩდა ცნობილი კომეტა—,,სიტყვა.'' მეცნიერების გამოკვლევით მისი კუდი საქართველოს ციმსარტყელაა, სწორედ ისეთი, წარღვნის შემდეგ რომ იხილა ნოემ.

(„პრ. ეშმაკის» სააგენტო)

**ხონი.** ერთი კვირაა რაც ხონის ვაჭრები ერთ მანეთს თავ პირს ამტვრევენ. მიზეზათ საერთო სადილზე დახარჯულ ფულს ასახელებენ.

**იქიდანვე**. გაიხსნა ლიტერატურული კლუბი აბაშიძის საკანდიტეროში.

**იქიდანვე**. მამასახლის სიმონიძის ნოტით არავის უფლება არა აქვს მის გვერდით ქუდ დახურული გაიაროს.

**კონტუათი.**—ამ დღეებში ბულეიშვილის დუქანში ჩხუბი მოხდა დაიკარგა 500 კალოდა კარტი,

**ლანირი**·—ლაატუსალეს ,,მოსე მწერალი“ სასონა. ამის გამო გადაიხადეს 75 პანაშვიდი და 23 წირვა.

**ქვიტირი.**—ქუთაისიდან დეპეშა მიიღეს, რომ ივლიანეს მტრედები აქ მოფრინდენო.

**ლანირი.**—სამკითხველოს ტიფი დაემართა გადარჩენა საეჭვროა.

**ივანდიდი**.—მღვდელ ანდროს განკარგულებით იყიდეს 5000 მან. საცეცხლური და 600 მან. ანაფორები.

**ხონი**—საქალებო გიმნაზიაში ერთმა მოწაფე ქალმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: ,,არშიყობა მეოცე საუკუნეში და ჩვენი ტაქტიკა.‘

**ხონი**—ქალაქის ბაღში საშინელი კორიანტელია ღორებსა და ბატებს შორის ჩხუბის გამო. ჩხუბს ხელს უშლიან მოწაფეები.

**მათ'ოჯი**.—15 თებერვალს ღამით დაიკარგა სამკითხველო. როგორც გამოირკვა ის სოფ. გორდში დადიანს მინდობია. დადიანს თვეში მისთვის 37 კ. დაუნიშნავს ჯამაგირათ.

**ნახახულევი**—ბანკის კასაში 63 ბუზი დაიჭირეს. ამბობენ ბუზების დაჭერაში პლატონა მწერალიც დახმარებია ბანკის გამგეებსო.

**კუხი**—ესტატე მამასახლისს ვერცხლის ,,პოდნოსი‘, დაეკარგა. მისმა ტირილმა ქვებიც აატირა.

**ხონი**—ამ დღეებში აქ ერთ·ერთ ლიტერატორის რედაქტორობით გამოვა ,,ყოველ საათური“ გაზეთი ,,ცრუპენტელა“.

---

# პატარა ფელეტონი.

### უბრალო ანგარიში.

მოსკოველ მწარმოებელთაგან ფრანგ დეპუტატებისათვის გამართულ მეჯლისის დროს, უცხოელმა სტუმარმა გასტონ მენიემ გამოიხედა ფანჯრიდან, მიმოავლო თვალი რუსეთის სივრცეს და აღტაცებით წარმოსთქვა:

— რუსეთში ასი მილიონი მთესველია, თითეულმა რომ ათი მანეთით მეტი მოიყვანოს, ერთი მილიარდი მანეთი შესდგება!

— მილიარდი მანეთი, მილიარდი! ჩაილაპარაკეს მწარმოებლებმა და თითოეულმა მათგანმა ნაღვლიანათ განივლო გულში:

— ეს მილიარდი ხომ შეიძლებოდა ჩვენს ჯიბეში ჩავარდნილიყო?.. უთუოდ ჩავარდებ და, უთუოდ!

მეჯლისის დათავებამდე ნერწყვ მომდგარ მწარმოებლებს ტუჩებზე უთამაშებდა მომხიბლავი სიტყვა:

— მილიარდი! მილიარდი!!

* *
*

— რუსეთში გასტონ მენიემ ასი მილიონი მთესველი აღმოაჩინა! ჩაფიქრებით წარმოსთქვა ფინანსთა მინისტრმა.—ყოველ მთესველსა აქვს სახნისი და ყავს საქონელი მთელი მისი ქონება ხუთი თუმანი მაინც ეღირება.

ფინანსთა მინისტრმა შუბლი შეიკრა, საანგარიშო ჩოთქი მოითხოვა და დაიწყო:

— თუ რომ სახნის-საქონელს ნაღდ ფულად ვაქცევთ, მივიღებთ ხუთ მილიარდ მანეთს. ოჰ, რა რიხით შეგვეძლებოდა მაშინ უცხოელ დეპუტატების ცხვირში ამოკვრა!!!

და აი ფინანსთა მინისტრის ოცნებაში დაიხატა მომხიბლავი სურათი:

ოქროს ტომრები... ბევრი, უთვალავი ოქროს ტომრები! ის თითონ მედიდურათ აზის ტომრებს და მასთან, სამათხოვროთ ხელ-გაწვდილი, მიდიან უცხოელი ფინანსთა მინისტრები:

— მოიღეთ ღვთის გულისათვის მცირე მოწყალება ფლოტის გასაძლიერებლათ... შეეწიეთ ბეჩავ ხალხს თოფებისა, ზარბაზნებისა და ტყვია-წამლებისათვის...

მაგრამ ის მტკიცეა კლდესავით, რამეთუ ყოველი ფულის მექონე მტკიცე კლდესავით.

— წარმოგვიდგინეთ თქვენი საათი! ეუბნება ის მშვიდობიანის ხმით. მხოლოდ მაშინ შემიძლია გითხრათ, რამდენის მოცემა შეგვეძლება.

უცხოელი მინისტრები მიდიან და ბრუნდებიან რამოდენიმე ხნის შემდეგ საათებით...

— ხუთი მილიარდი! რა ბედნიერებაა ხუთი მილიარდი!! თავდავიწყებით ოცნებობს ფინანსთა მინისტრი.

* *
*

რუსეთში ასი მილიონი მხვნელ-მთესველია. დინჯათ წარმოსთქვა გზათა მინისტრმა.—რამდენი მგზავრი იკარგება უსარგებლოთ! ყველა ეს პატივცემულნი მხვნელ მთესველნი ხომ ქვეითად, ფეხით მოგზაურობენ...

და ცოტა მოფიქრების შემდეგ გზათა მინისტრმა გადაწყვეტით დასძინა:

— ჩინებული იქნებოდა გამოგვეცა ცირკულიარი, რომელიც ჩვენს მხვნელ-მთესველებს ფეხით სიარულს აუკრძალავდა. აჰ!

გატაცებულმა მინისტრმა ოთახში ბოლთა გაახურა.

— არა... უმჯობესი იქნება, თუ ვაიძულებთ ყველა მთესველს წელიწადში ორჯერ-სამჯერ უეჭველათ იმოგზაუროს პეტერბურგიდან, ვიდრე ვლადივასტოკამდე რკინის გზით. როგორ აყვავდებოდა მაშინ ჩვენი რკინის გზები!!!

უმწვერვალესად აღელვებულ გატაცებული მინისტრი საწერ სტოლს მიუჯდა მოხსენების...

*
* *

რუსეთში ასი მილიონი მთესველია! გულიდან ამოსწყდა ზღვათა მინისტრს. თითოეულ მათგანს რომ

საკუთარი ხარჯით თუნდაც ერთი ჯავშნიანი გემი აეშენებია, მაშინ ხომ ჩვენ ასი მილიონი სამხედრო გემი გვექნებოდა!

— მაშინ ვაჩვენებდით თამაშას იაპონელებს, ინგლისელებს, ამერიკელებს ფრანგებსა და სხვა ერებს!, მწარე ამოკოხვრით წარმოსთქვა მინისტრმა.

*
* *

— ასი მილიონი მთესველი ყოფილა რუსეთში! ტკბილათ ჩაილაპარაკა თავადმა მეშჩერსკიმ.

— ოჰ, ნებას რო მომცემდენ თითოეულ მათგანს ოცდა ხუთი წკეპელი დავკრა! რა კმაყოფილებითა და სიამოვნებით გავატარებდი ჩემს ცხოვრების დანარჩენ დღეებს!

ჭეშმარიტი სიამოვნების ცეცხლით გაბრწყინდენ თავადის თვალები.

— ოცნებავ, ოცნებავ! სად არის სიტკბოება შენი!..

ნაღვლიანის და ყალბი ხმით დაასრულა თავადმა.

* *
*

— ასი მილიონი მთესველი! დაჭრილი მხეცივით წამოიძახა ექიმმა დუბროვინმა.

— თითოეულმა მათგანმა რომ თუნდაც ერთი უზალთუნი შემოსწიროს „ზნამიას“! მაშინ ხომ სამი თვე გაულევიძებლივ ილოთებდენ მთელი ლეგიონები „ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა“!?

*
* *

— ჩვენ რუსეთში ასი მილიონი მხვნელ-მთესველი ვყოფილვართ!! განცვიფრებით ამოიკითხეს გლეხებმა გაზეთიდან გასტონ მენიეს სიტყვები რა იქნებოდა რომ ჩვენ ერთ სოფლად შევკრებილიყავით..

გლეხებმა ქეჩო შეიფხანეს და განაგრძეს.

— შევკრებილიყავით ერთად და მთელი საზოგადოების სახელით მთავრობისათვის თხოვნა მიგვეწერა, რომ ვწყდებით შიმშილით, რომ ცხარე ცრემლითა ვსთხოვთ: თუნდაც ათ ათი შაური დაგვირიგოს თითოს ცოლ-შვილის გამოსაკვებათ.. დაგვიჯერებდენ ნეტავ თუ არა?

თითოეულ მათგანს იდუმალმა ხმამ ჩასძახა.

— არ დაგიჯერებენ, არა! (გაზ. „რეჩი“).

**ო. ლ. დორ.**

---

## დეპეშები. ქუთაისიდან.

(„ანათემას“ სააგენტო)

**ქუთაისი.** ქალაქში დიდი დღესასწაულია. 7 თერვალს გაიხსნა საზოგადოება „შევარდენი“. მრავალი შევარდენი დაესწრო მაგრამ კიდევ უფრო მეტი ყვავ-ყორანი.

**იქიდანვე.** ჩვენს „სახელოვან“ ფილოსოფოს გრ. რობაქიძეს ენის ქავილი აწუხებს. ამბობენ მალე „ხაოს“ აუცრიანო.

**იქიდანვე.** სახალხო უნივერსიტეტის პირველი დღე, ლამის მისი უკანასკნელი დღე შეიქნეს.

**იქიდანვე.** თოვლ-ჭყაპის გამო ქუთაისის ქუჩებში ისევ გახშირდა ნავების მოგზაურობა.

**იქიდანვე.** ქალაქის გამგეობას კვლავაც სალათას ძილით სძინავს.

---

# გურული სცენა.

## ვაი, სულო! ვაი, გულო!!

— როის ჩამოხრიგინდი კოწია თფილისიდან? რა ამბავი მოიტანე?

— მე რომ იქინეი სასიხარულო ვნახე, ღმერთმა ნუ მოგიშალოს ნურც შენ და' ნურც მე იმისანაი. ვნახე, ძმავ, მარა რა ვნახე! გევ'ხარე, მარა რა გევიხარე!—თუ დეიჯერებ, ორი მტკაველა გევ ზარდე კაცი. დაგელოცა ღმერთო სამართალი—თურმე ქე გამოაჩენ ხანდახან შენ სამართალს! რა გიჭირს შე დალოცვილო, კვირეში თითო ამფერი სასწაული დამანახვო? მე შენ გეტყვი და დაგელევა სასწაულ-მოსახდენი, თუ რა გინდა? დიდება შენს სახელს, მარა ერმოლოვისთანა რაზბონიკს რამდენიც გინდა იმდენს ნახავ და იგინის დასჯას თუ ყველაისას მაღრისებ, თექვსმეტი წელიწადია ზიარება არ ჩასულა ჩემ პირში და იქნება ქე ვაფიქრო ზიარებაც,

-- რა ნახე კაცო? რა იყო იმფერი, რომ პირჯვარი დაგაწერია—ერმოლოვი რეიზა გამახსენე?

— რა გინდა ძმიავ მეტი, აგი ჩვენი დამჭირავი, ჩვენი გამამათრახებელი, ჩვენი გადამსახლებელი, ჩვენი ოჯახის ცეცხლის წამკიდებელი, ჩვენი მექრთამე, ქე არ ვნახე დაჭირული?!

— ვინ ნახე ბიჭო! ერმოლოვი? ნუ მატყუებ თუ ღმერთი გწამს; მინისტრისხელა კაცია და იმას ვინ რას კადრებდა?!

— აქანაი კი ბდღვინავდა, მარა თურმე თვითონ ქურდი და რაზბონიკი იყო, ბანკი არ დუუტიებია გუუცარცვავი და ნოხები მეუპარავი. დიესხა თავსხლაფი, ქე დუუჭირავენ თხლეზე!! ქე ვარ ჩემდა თფილისში ვაგზალზე. გევიხედეთ დაფაცურდენ ჟანდრები: მარშ, მარშო, გამოგვრეკეს—გამოიყვანეს არესტანცკი ვაგონიდან მარა რაფერ გამეიყვანეს, ბუსავით ეხვეოდა ხიშტიანი სალდათები.—შევხედე შორიდან, რას დეინახავ, ქე არ ვიცანი აგი ჩვენი ვეზდის ნაჩანიკი?! დევიკოცნე ხელის გულები—იგი შენ ახლა კი მიხთები რაფერია დაჭირვა მეთქი,—შენ მართალს სჯიდი ათასობით თუ არ დეიხსნიდა თავსა და გეყოფა საშუშებლათ, ჩავარდი მახეში მეთქი, მეუარე ხანჭკი.

— იცი რას გეტყვი კოწიავ? ტურა რომ ქვეყანას ამუაგდებს, მგელის ბრალია, თვარა იგი იმ დღეს იყო დასაჭირავი, დავით დუმბაძემ რომ შემოქმედში კამპანიეი უქნა და ერმოლოვმა გზაზე კვირიკეთში ორი ხუთას მანეთიანი დახია. ტამბაჩოვი ქე უნდა მიმხვდარიყო მაშინ მის სიკეთეს, მარა ხომ იცი, იგენს ერთმანეთის ტყავის დახევა არ უყვართ.

— მეიცა, მიხელავ პაწეი, ნაჯავ ასვარია-დასვარიას—მიქიაშვილი დეიჭირეს პოსუდშია, ერმოლოვია და ისეა, ასათიანი ლაზათიანათ მიაპალურეს, რაცხა ისე მთქვემს გულს, ყველაის გამოჩნდება შავი და თეთრი—უბედური მათი ამყოლი ჩაჩუტების ბრალი, როიცხა მუაწევს განჯა-გაკითხვის დღეი, ქოფაკები თუ არ დაზოგეს, იგინს, ფინიებს, ვინ გეიხსენებს.,.

**რაშო-რერა!**

---

## დეპეშები კახეთიდან.

(„კან“-ის სააგენტო)

**თელავი**. თელავს ბოქაული ჩიჩუა, მსურველთ უფასოდ ასწავლის ,,პროტოკოლების'' წერას.

**იქიდანვე**. მუშებმა მიკიტნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, მაგრამ ღამეში ამოსვრილები ღამეებს პოლიციაში ან ქალაქის ბაღში ათენებენ.

**კურდღელაური**. მიწა იძრა. დაზარალდა მხოლოდ მამასახლისის თავი.

**ვარდისუბანი**. მოძღვარი იროდიონი მალე გაემგზავრება სკოლების დასათვალიერებლათ. ბარგის წამოსაღებათ საჭიროა 50 აქლემი.

**თელავი.** პურის ფასმა საგრძნობლათ აიწია.

**შილდა.** რუსიევები ვახტანგურათ ქეიფობენ ორჯერ გაყიდული ტყის ფულებით.

**იქიდანვე.** ნამამასახლისარი გოგიევი, როგორც ამბობენ უკვე დაჭკვიანდა. არც მწერალის სიცოცხლეა განსაცდელში. ძლიერ მოუხდა დანივრული დედლები.

**იქიდანვე.** ადგილობრივი სამკითხველო ხან მარმარაშვილისა და ხან ხინჩაკაშვილის სამიკიტნოებში იქარვებს გულის წუხილს.

---

## ბიბლიოგრაფია.

### კიდევ ერთი ,,კუდიანი პოეტი''

### ეფრემ მაკალატია.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის აყვავებას მრავლის უმრავლესი მიზეზები უშლიან ხელს, მაგრამ ამ მიზეზთა შორის სრულიად უსაბუთოდ ასახელებენ „კაზმული ენისა“ და „კაზმული მწერლების“ სიმცირეს.

ჩვენს მდიდარ ენაზე ლაპარაკიც მეტია, ხოლო „კაზმულ მგოსნებზე“ მგონი ჯერ ბევრს არავის დაუძრავს ენა. ამიტომაც განვიზრახეთ ამ პატარა წერილში მცირედ შევაწუხოთ მკითხველის ყურადღება ერთი ასეთი «კაზმული» ანუ უკეთ ვსთქვათ „შესაკაზმავი მგოსნის“ ნაყოფიერებით.

ბ-ნი ეფრემ მაკალათია ისეთი ჭკუის კალათი ბრძანდება, როგორსაც ჩვენს კურთხეულ სამშობლოში ასობითა და ათასობით შეხვდები. მან უკვე გამოსცა საკუთარ ნაწარმოების პირველი ტომი და ამგვარათ თავისი წვლილი, ანუ უკეთ ვსთქვათ წვირი, შეიტანა საქვეყნო საუნჯეთა სალაროში.

სამწუხაროდ ბევრი ასეთი ნიჭი იმალება ჯერ უბრალო ხელთნაწერებში და მხოლოდ მაკალათიასავით რჩეულობს ხვდებათ წილათ საბეჭდავ მანქანაში თავისი მუზის მშვიდობიანი განძვრინება.

აი მოისმინეთ:

დღეა ცის-მარე ციურნი არსებული
მრავალი ლხენა არსებობს ქვეყნული
დღე ნათელის სივრცეში ზოგს ეტკბილება,
ზოგს ემწარება ლხენა მრავალი“... (გვ. 3)

ამ ოთხიოდ სტრიქონში, როგორც დაინახავთ, მეტის მეტი, ჩვენთვის მიუწვდომელი ღრმა აზრია გამოთქმული. ,,ციურნი არსებულნი'' ,,არსებობს ქვეყნეულნი''. გაიმაგრეთ კვალად გულნი და ჩაჰყევით:

«ველი-ველათა არი სწორი მითვლილი
ჰაერიდან შემკობილი მით მობიბინებული
უთვალავი უზენაესა მიმართ შემკობილი.
ნესტიანი ბურდოებითა მათ ფენილი... (იქვე).

აქ ნიჭი ,,კუდიანი მგოსნისა'' უკვე ირკვევა ,,სწორ მითვლილ'' ,,ჰაერიდგან შემკობილ ,,არსთა ბურდოებ'' შორის და საუცხოვოთ, უზენაესის მიმართ შემკობილ სურათში ეხვევა.

ცოტა ქვემოთ ახალგაზრდა მგოსანი ეფრემი*) უმეტეს უახლოვდება ჩვენს ცხოვრებას და საუცხოვო სურათებში გვიხატავს მას.

„სოფლი ბაღჩა დაბალია
შით ყვავილი მორთულია
იქნებ ნახო ბიკტორია
არ მოწყვიტო მაგლონია.
მათ აბია ხეხილია
ის გახლავს დაყნილია
წითელ ყვითელ ვაშლებია
იქნება მიირთვა ყურძენია. (გვ. 24)

სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო საოცნებო რიფმა რათა ღირს! წარმოიდგინეთ რვა სტრიქონში სამის გარდა ყველა ,,ლია''-ზე თავდება. მაგრამ ღირს ამაზე შეჩერება? ჩავყვეთ დაბლა:

აყვავდი ყვავილო ნორჩ-ფეროვანო
ნუ ჩაფშვნილიხარ კოკრებსა.
ზაფხულის სხივი დაგეტრფის
ვით არც მალამო გულისა.

,,ნორჩ ფეროვანი'' ყვავილი ეს პირველი თქმაა ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. იმედი გვაქვს ამას ბ-ნი კიტა ჯეროვნათ დააფასებს და ჩვენ კი ერთი ნიმუში კიდევ მოვიყვანთ მკითხველის საკეთილდღეოთ.

«ჩემს გვერდით კლდეა—კლეს
გვერდით აბიბინებული ტყეა,
ტყეს წინ ზავოდია—ზავოდის გვერდით
აფიცერია—აფიცერის გვერდით კარტიჩკაა,
კარტიჩკის გვერდით სულიერია
სულიერის გვერდით მანდილოსანია. (გვ. 10).

ამ უკანასკნელი კუპლეტიდან თქვენ დარწმუნდებით, რომ პოეტი ეფრემი სამოქალაქო და თვით პოლიტიკურ ტემებსაც ისე ადვილათ სძლევს, როგორც მსოფლიოისა და ბაღჩებისას. აქ თქვენის თვალით ხედავთ, რომ ის იხსენებს, როგორც ,,ქარხანას'' ანუ ზავოდს, აგრეთვე ,,აფიცრებსაც'' და წარმოიდგინეთ ,,სულიერსაც.''

ეს იკმარეთ სადღეისოთ და მალე მეორე ტომზედაც მოგახსენებთ.

**პროვატ-ეშმაკი**

---

*) ეგ ის ეფრემი არ გეგონოთ, რომელიც თეირანის პოლიციის უფროსათ ბრძანდება.

ეშმაკი.

# საეშმაკო უსტარი

## ეშმაკისადმი გურიიდან.

წერილსა გწერ ჩემო კარგო
მე ჯოჯოხეთის მსახური,
გამიგონე რაც მოგითხრა
კარგად მომაპყარი ყური.

**ასპიტი.**

ბიძია ეშმაკო!

გამიგონია და წამიკითხავს „თვეთა ქებაში“ „თებერვალი ბერავსო!“ მაგრამ აბა რას წარმოვიდგენდი, თუ თებერვალის ბერვა ორფეხა ცხოველებზე (ჯვარი სწერია ქათმებს, ფშუტა ადამიანებზე მოგახსენებ) გავლენას იქონიებდა და ისინიც ბერვას დაიწყებდნენ. ბერვაც არის და ბერვაც. ვიზედაც მე მოგახსენებ ისინი ისეთი რიხით იბერებიან, ვაი თუ ადრე დაიჩუტონ.

თებერვალმა ბერვა იწყო
ლეხოურმა ბანი უთხრა,
—გურიანთამ მოძახილი —
—„მეკამემ“ კი გვითხრა—მოთხრა.

ლეხოურს 25 ვერსტზე აკრავს მამული მდინარე ჩოლოქის პირათ. ეს მამული როგორც თავად-აზნაურთა საკუთრება, დარჩა სახელმწიფო ბანკს. სანამ ყოფილი მემამულე-მეპატრონენი ბანკს «შეატიებდენ», ბევრი ემუდარ-ეჩიჩინენ ლეხოურლებს, თქვენს სახელზე გადმოიტანეთ, იაფათ დაგიჯდებათო, მაგრამ რას იფიქრებდენ ლეხოურლები, თუ მათზე ადრე ბღერი სხვას დაემართებოდა და თავის ფხანას მოჰყვებოდა.

მაგრამ მოსტყუვდენ. ხიდისთავლებმა ჩიჩიო დაუძახეს... უმიწაწყლოთ შთენილი, უმუშევრობით შეწუხებულნი —უკოკუობით (უმჭადობით) მიკნავებულნი ხიდისთავ-ასკანელ-ჯვარცხმელნი, რიცხვით ერთი ასეული (СОТНЯ ГОЛОДНОЙ КОМАНДЫ) შეერთდენ და შეკავშირდენ—გაყიდეს რაც რამ ებადათ (ბევრიც არაფერი ებადათ) იხმეს ნოტარიუსი ხიდისთავში, შეკრეს პირობა და გადასწყვიტეს, დაეარსებინათ ჩოლოქის პირათ «მშიერთა კოლონია». გაუგებარი არაფერია. ეს ამბავი ლეხოურლებმაც გაიგეს—დაჰკრეს საომარი საყვირი—ვეი მასო!! დასძახეს, შემოიერთეს შემოქმედის საზოგადოების მაკვანეთლები და გადასწყვიტეს—ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. პირველათ ბრძოლის ხერხათ ფასის აწევა იხმარეს, ხოლო შემდეგისთვის სხვა გზას მონახავენ.

ასე ჩემო ეშმაკო, იბერებიან ლეხოურლები, ბერვენ მაკვანეთლებსაც, ისე ირაზმებიან, თითქო უმიწაწყლონი მათთან ტყვეების მოსატაცებლათ მიდიოდენ და არა სამეზობლოთ. შედეგი ასეთი ბერვისა აშკარაა. გამარჯვება ორივეს თავს დაუკრავს და მამული...

* *
*

თუ ჩაქურა ლეხოურლები იბერებიან, არა ნაკლებ იბერებიან ჩაჩაქურებულნი გურიანთლები. გურიანთა გურიის დასავლეთი ნაწილია. აქ უხვათ არის სახნავ-სათესი მიწა ნაშიძეებისა და ქარცივაძეების. გურიანთლებსაც გადაუწყვეტიათ, «ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო!» მართალია თითეული ჩვენთაგანი 600 ფუთს სიმინდს ვყიდით, შინაურ საქონელსაც ვაძოებთ, მაგრამ ანგარიშით 600 ნაცვლათ რომ ათასი გავყიდოთ უკეთესიაო. „გურიანთა გურიანთლებისთვისაო“! დასძახეს და კიდეც დაარიგეს განცხადებები: „ვისაც თავი მოძულებული არ გაქ, ჩვენში ყანის აღება არ გაბედოთო“. არ ვიცი, რას ეუბნებიან გურიანთელები იმ უმიწა-

ბოლ. ლონდონში კი არ აზავნის გასასყიდათ, არამედ 40—60 ვერსტის მანძილზე მიაქვს— გამხმარი კუჭის გასალბობათ.

კვლავ გაიხარე ჯოჯოხეთო, გემატება მრევლი!!

**ასპიტი.**

---

## დეპეშები ფოთიდან.

(„ვოლდემარის“ სააგენტო)

მარგანეცის მუშათა ,,მოწინავე ჯგუფმა“ შექმნა ახალი მოძღვრება მუშათა კეთილდღეობის დასამყარებლათ. მათი აზრით საჭიროა გაძვალტყავებულ მუშების ზურგზე მოჯდომა, რადგან თუ ამხანაგი არ გაყვლიფე, ხაზეინებს აბა რას დააკლებ. როგორც ხმები დადის ახალ მოძღვრებას ბლომათ უჩნდებიან მიმდევრები.

—

დიდი სენსაცია მოახდინა ნიკობურგელმა ფლამარიონმა გერმანე ტ—მ. ფოთის მაიაკზე მან აიტანა ძველი ზარბაზნის ლულა და იქიდან გაუჭვრიტა ახლად გამოჩენილ კომეტას. ნიკობურგელ ფლამარიონის დასკვნით ახლო მომავალში გამოჩნდება მრავალ კუდიანი კომეტა, რომელიც მოიტაცებს ჩვენს დედამიწას და ჩვენც ჰაერში გავფრინდებით. ალმაფრენის მოტრფიალენი ემზადებიან ამ ნეტარ წუთის შესახვედრათ. ალთქმულ კომეტის, ნიკობურგის ასტრონომიის მოტრფიალებმა გერმანეს კომეტა უწოდეს.*)

—

თუმც ქალაქში ძლიერი კრიზისია, და მაღაზიები მაღაზიებზე იკეტება, მაგრამ ძალიან იმატა ეგრეთ წოდებულმა ,,კონფეტტი“-ს წარმოებამ. ფოთელი გიმნაზისტკები უხვად ასაღებენ მას ახოვან მასწავლებელთა თავების შესამკობათ.

—

ფოთის ქალაქის გამგეობამ ეპიდემიის მოსასპობათ თავის ლატაკ კასიდან დიდძალი ფული გადასდო. დაქირავებულ იქნა სანიტარული ექიმი; ამ ფულებით იყიდეს ათი ვედრა კარბოლის სიმჟავე და ერთი გახვრეტილი პირისაბანი.

—

**ქვალონი.** განსვენებული კუჭუხიძის კონტროლიორული სული კვლავ მოევლინა კონდუქტორებს და მგზავრებს და შურს იძიებს მათზე ჩვენ დროში ყველაფერი შესაძლებელი ხდება და ამიტომ არ გაგვიკვირდება რა, მაგრამ მაინც გვიკვირს თუ როგორ აღსდგა მკვდრეთით განსვენებულ კონტროლიორის, კუჭუხიძის სული.

---

# შეკითხვა ეშმაკისადმი

**„ხაშურის ხაშმი“**

18 თებერვლის სხდომაზე ეშმაკთა ზედა პალატაში შეტანილ იქმნა საგანგებო შეკითხვა: მი-

*) ამ დეპეშას ვწერ გერმანეს თანხმობით. მან ეს წაი-

**როდის მოხვდება „კომეტის“ კუდი დედა-მიწას.**

მაილოვის ზოგიერთ მუშათა-**აგენტობის**-შესახებ, შემდეგის შინარსისა:

„ამ ბოლო დროს მიხაილვში ერთბ გაგვიმრავლდენ სამათრახო გვამები. მიუხედავათ ამისა, მითხარ ძალიან გაგვიძვირდა, რის გამოც იძულებულნი ვართ, შემდეგის შეკითხვით მივმართოთ სადაც ესე ჯერ არს:

1) მოხსენება, თუ არა მის უეშმაკეულესობას, რომ მიხაილოვის დეპოს მუშებმა: ი. თელიაძე ა. მამფორიამ;-მარგოვმა, და ამხ..., თავიანთი გულუბრყვილო ცილის წამებით შფოთი და აურზაური ასტეხეს მუშებში?...

2) მოხსენება, თუ არა, აგრეთვე ისიც, რომ როდესაო საქმე ბრალდების დამტკიცებაზე მიდგა, გსენსბულმა პირებმა ერთი „გმირივით" უკან უკან დახევა იწყეს და ს. სასამართლოს, უკანასკნელის მოთხოვნილებისამებრ, „საუთების" გადაცემაზე უარი უთხრეს?... თუ მოხსენება ყოველივე ეს,— რა ზომების მიღებას აპირებს მათი უეშმაკეულესობა ამგვარი თავხედობის წინააღმდეგ?

**ახ—ი".**

ეშმაკთა პალატამ გულდასმით მოისმინა ყოველივე ზემოაღნიშნული და ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: დაინიშნოს საგანგებო მოხელე ეშმაკი საქმის გამოსაძიებლად. მიეცეს მას სახელმძღვანელოთ ერთი მათრახი და სრული გამოძიების შემდეგ საქმის ვითარება მოხსენდეს ზედა პალატის საგანგებო სხდომას.

---

## შავი ქალაქი
## ჭიათურა.

(„შავი ეშმაკის" სააგენტო)

მოულოდნელათ გვეწვია და სამსონ გიკინეიშვილის კაფე კლუბში ჩამოხტა ცნობილი კარტიოჟნიკთა ჩემპიონი, სიმონ დარჩია. ხმებია სიმონი აქ სხვათა შორის დაექიდება ცნობილ დომენტი ბოგუაძესათ.

* * *

გამოქვეყნდა შავ ეშმაკთა სტატისტიკურ ბიუროს ანგარიში, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ „პროგრესიულ" დაწესებულებათა რიცხვი ჭიათურაში გამრავლებულა და მათი მოქმედება გაფართოებულა. აი ანგარიშიც 1909 წელში ჭიათურაში ყოფილა: 499 ყავახანა; 2,700 სამიკიტნო და $^1/_4$ სამკითხველო. გასაღებულა: 7,000,000 კალოდა ბანქო, 20,000 კამათელი და ნარდი 1,900,000 საპანე ღვინო და სხვა საყლუპწი სასმები და $2^1/_2$ გაზეთი. თუ მივიღებთ მხედველობაში ასეთ ზრდას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჭიათურა აშკარათ წინ იწევს კულტურის გზაზე.

* * *

ამ თვეში (თებერვალში) ძლიერ იკლო მუშების წერილ პოდრიადჩიკებზე ბოქაულთან საჩივარნი. ხმებია, მომჩივანთა რიცხვი დღეში ასზე ჩამოსულა, ესე იგი მინიმუმზე.

* * *

თებერვალში, ჩერნევსკის ჯამაგირის მოსათხოვათ. ქუჩაში მუშები აღარ დასდევდენ არ იციან, თუ რა არის მიზეზი.

* * *

როგორც ხმებია გავრცელებული, თურმე ვიცი „ზუბრი" ვლ. წერეთელი თავის ნაწვავ-ნადაგ

* * *

ამ შაბათს აბანოდან უჩექმოთ და უტანისამოსოდ არავინ წამოსულა. როგორც გავიგეთ, აბანოს ეხლა ორ თვეში მხოლოდ ერთხელ გააღებენ, რადგან მობანავეთა რიცხვი თანდათან კლებულობს.

* * *

მარკოვ მეორის სათათბიროს 15 სხდომიდან გაძევებამ, აქაური მუშები ძლიერ დაალონა.

* * *

საწარმოვო კაპიტალის შემოკლების გამო, ექსპორტიორებმა მუშებიდან დაიწყეს „ზალოგის" სახით ფულის სესხება.

* * *

კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება „ჩვენი ოჯახი" 50 ფუთ პურზე მეტს ყიდის დღეში. ჩაეწერა 20,000 მეტი წევრი. საწევრო ფული მოგროვდა 7 მანეთი და 50 კ.

---

## მათრახის ფოსტა.

**თფილისი.** ელ. ქ-ს. თქვენ უეჭველი ნიჭი გეტყობათ მთარგმნელისა, მაგრამ ჩვენ ჟურნალს არ შეეფერება მათი ნაწარმოები. კრილოვის იგავები ორჯერ არის ნათარგმნი ქართულად და თქვენ ორივესაგან შორსა ხართ. მკითხველთა საყურადღებოთ მოვიყვანთ ერთ ადგილს:

**გუგული და ბულბულა** (Чижъ и соловей)

„იყო სახლო,
ფანჯრის ახლო
ეკიდა გალია,
შიგ საწყალია
ჩიტი გალობდა
(მას ხმა სწყალობდა!)
როცა რომ ჩიტი გალობას იწყებდა,
პატარა ბიჭი ქვეყანას იკლებდა" და სხ.

ერთი სიტყვით ჩინებულია, რომ ჩვენთვის შესაფერი იყოს.

**სადმე.** უბედურ ეშმაკს. უბედურების ძებნას დიდი ხანი არ სჭირია, მაგრამ თქვენმა „ნაამბობმა" სწორეთ განცვიფრებაში მოგვიყვანა.

«მამასახლისი ტყავს გვაძრობს,
პრისტავიც კი, პარეს შრვებ;
მაგრამ, როდესაც იქნება,
მაგათს უტირებ დედ-მამას».

კაცო, გაგვაგებინეთ რომელ ქვეყანაშია, რომ მამასახლისი ხალხს ტყავს აძრობს და წარმოიდგინეთ «პრისტავიც კი ერესს შვრება?» ეს ძლიერ საინტერესოა.

«ბოჩიკიცა კი, აგერ მოდის,
და თხოულობს დრამის ფულსა;
და, ყველას გთხოვთ ჩემსა ძმებსა,
შემწეობა მომცეთ ცოტა».

ხოლო რაიცა შეეხება «ბოჩიკს», რომელიც დრამის ფულსა თხოულობს, ეს ალბათ ადაჭარბება თქვენი მუზის მიერ

---

იყიდება „შრომის" სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები" 7 ნომერი




# მეისრის სიმღერა.

სადგურჲს უფროსს გვიქებენ
სიკეთით სავსე პირია:
ფანარი თუ კი ხელში აქვს
მუშტები აღარ სჭირია.

თავზე დაამსხვრევს უთუოდ,
(თუმცა ჰაგარი შუშაა)
ეს იმიტომ, რომ სამუსრი
დაბალი ღობის მუშაა.




როდის მოხვდება „კომეტის“ კუდი დედა-მიწას.

# კუდიანი ვარსკვლავი.

პირველ წერილში ჩვენ მოგახსენეთ, თუ რისთვის აფრთხობდა კუდიანი ვარსკვლავის მოჩვენება დედა-მიწის მცხოვრებლებს და უმეტესათ კი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა".

და მართლაც, მიუხედავათ იმისა, რომ აქ საშიში არაფერია, გასაკვირი და დამაფიქრებელი კი მეტის მეტათ ბევრი. წარმოიდგინეთ, თქვენს ოჯახში შემოიჭრა სრულიად უცხო და არაჩვეულებრივი ადამიანი, ანუ უკეთ ვსთქვათ არსება! ცხადია ის დიდ გაოცებასა და არევ-დარევას გამოიწვევს ოჯახის წევრთა შორის და ეს მით უმეტეს, თუ დაუპატიჟებელი სტუმარი ბევრ რამეში განსხვავდება მასპინძელთაგან.

ამგვარივეა კუდიანი ვარსკვლავის მოვლინებაც.

ჩვენი მზის ოჯახობა, რომელიც რვა დიდი და ოთხასიოდ წვრილი ქვეყნებისაგან შესდგება, დასცურავს უსაზღვრო სივრცეში წყნარათ და ლაღათ. არავითარ საგრძნობელ ცვლილებას აქ ადგილი არა აქვს, არავითარი არევ-დარევა აქ მოსალოდნელი არ არის. თითოეულმა წევრმა ამ უზარმაზარი ოჯახობისამ (მათ შორის ჩვენმა დედა მიწამაც) იცის თავისი გზა, აქვს თავისი მიმართულება და იოტის ოდნავაც არ შესცვლის უხსოვარი დროიდან მიღებულ სიჩქარესა და მიმართულებას.

უცებ, გაიხედავთ, რომ სრულიად ახალი, უცხო და უცნაური სტუმარი შემოიჭრა ამ მწყობრ, გარმონიულათ განწყობილ ოჯახში! ის მოულოდნელია თვით მსოფლიოს მოდარაჯეთათვის. უკანასკნელი, იანვრის კუდიანი ვარსკვლავი, მოულოდნელი იყო თვით ასტრონომებისათვისაც. როგორც ზაფხულის პეპელა, ეს ახალი სტუმარიც შემოუნავარდებს თავისი გრძელი და მოხდენილი კუდით ჩვენს მანათობელს, ბრწყინვალე მზეს, თითქო უნდა ფრთები გაითბოსო და კვლავ მისცემს თავს დაუსრულებელ სივრცეს მსოფლიოისას.

ადამიანის გონება ძველთაგანვე იმგვარათ არის აღზრდილი, რომ მთელი ხილული ქვეყნიერობა მის სასიამოვნოთ, სასარგებლოთ თუ მის დასასჯელათ გაჩენილი ჰგონია. ძნელათ დააჯერებ ჩვეულებრივ მცხოვრებს დედა-მიწისას, თუ მზე ბუნებაში იმისთვის არ გაჩენილა, რომ ადამიანს გაუნათოს, გაათბოს და გაზარდოს; რომ მთვარე გაცილებით ადრე ჰფენდა თავის შუქს დედამიწას, ვიდრე მასზე ორ-ფეხა, მედიდური ადამიანი ბოგინს დაიწყებდა. აგრეთვე ძნელი დასაჯერებელია ადამიანის გონებისათვის, რომ ეს უცხო სტუმარი, კუდიანი და მოელვარე, არ გამოეგზავნა განგების ძალას, მათ, ადამიანთა დასასჯელათ.

რას იზამთ, ასეთია ადამიანის ბუნება!

თითონ კუდიანი ვარსკვლავი კი ამაზე ერთობ ნაკლებათ ფიქრობს და მინდობილი მსოფლიო მიმზიდველობით კანონზე დანავარდობს, განუსაზღვრელ სივრცეში, ერთი მზიდან მეორემდე, მეორედან მესამემდე და სხვ. მხოლოდ ზოგიერთი მათგანნი სხვადასხვა შემთხვევათა გამო ემწყვდევიან მზის ოჯახობაში და ამის შემდეგ მისი ნამდვილი, თუ მუდმივი წევრი ხდებიან.

ერთი ამგვართაგანია მომავალი, გალლეის კუდიანი ვარსკვლავი. გზა მისი თუმცა ძლიერ შორსაა გატყორცნილი ჩვენი მნათობისგან, მაგრამ მიმზიდველობითი ძალა მზისა იქაც იმორჩილებს და უკუ აბრუნებს მას.

ასტრონომების სიტყვით გალლეის ვარსკვლავი უკვე გამოჩნდა დიდრონ ტელესკოპებში (დურბინდებში) და ადვილია მისი გზის გათვალისწინება. მათ უკვე გამოანგარიშებული აქვთ, თუ როდის სად იქნება ჩვენი კუდიანი სტუმარი და როდის არის მოსალოდნელი დედა მიწას შეეხოს იმის გრძელი და ნათელი კუდი. ამ მოსალოდნელი შემთხვევის გამო ბევრი ჭორები ვრცელდება ჩვენში და რამდენათაც კუდიანი ვარსკვლავი მოგვიახლოვდება ეს ჭორი, იმდენათ უფრო გაიზრდება.

განა რა ენაღვლება რომელიმე მატყუარას, თუ კი თავისი მიზნის მისაღწევათ კუდიანი ვარსკვლავითაც ისარგებლებს?

„ბევრს განათლებულსა და ცნობილ პირებს სჯეროდათ, რომ **1528** და **1577** წლებში ქვეყანა უნდა დაქცეულიყოო" ამბობს ფლამარიონი. „მხოლოდ მარტოთ მარტო ბერები გამოდგენ ფიზიკის კარგი მცოდნენი და უბედური წამის მოლოდინში ხელ გაშლით იღებდენ ყოველგვარ შემოწირულებასო».

ბერები, თუ სხვა და სხვა ამგვარი მატყუარები, რაღა თქმა უნდა ახლაც საკმაოთ ისარგებლებენ „მოყვასთა" თვისთა უვიცობით და შეუგნებლობით.

ჩვენი გაზეთის მე 13 გვერდზე მოთავსებულია, სურათი, სწორეთ ამ მოსალოდნელი შემთხვევის შესახებ. იქ შავი ხაზით არის ნაჩვენები დედა-მიწის, ანუ იმ ქვეყნის გზა რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ. თეთრი ხაზით კი აღნიშნულია კუდიანი ვარსკლავის გზა. პატარა ისრები ამ გზათა ბოლოებში უჩვენებენ იმ მიმართულებას, თუ საიდან საით მიდის, მოძრაობს დედა-მიწა და კუდიანი ვარსკვლავი.

ერთ უმთავრეს საბუთს იმის დასამტკიცებლათ, რომ კუდიანი ვარსკვლავი არ არის ნაწილი ჩვენი მზის ოჯახობისა, წარმოადგენს სწორეთ მისი მიმართულება. ყოველი წევრი, ანუ უკეთ ვსთქვათ ყველა ქვეყანა, რომელიც კი ჩვენი მზის ოჯახობაში შედის და დაუცხრომლივ გარს დასტრიალებს მზის ბრწყინვალებას, მიმართულია ერთის მხრით, სახელდობრ დასავლეთიდან აღმოსავლეთით. აქ არავითარ გამონაკლის ადგილი არა აქვს და ამ კანონს ერთნაირად ემორჩილება, როგორც ბუმბერაზი იუპიტერი, აგრეთვე პატარა მერკურიც. სულ სხვასა ვხედავთ კუდიან ვარსკვლავთა მოძრაობაში. როგორც აქვე, სურათზე შენიშნავთ, ის თავის გზაზე მოჰქრის სწორეთ პირდაპირ წინააღმდეგ, ანუ აღმო-

სავლეთიდან დასავლეთისაკენ. კუდიანი ვარსკვლავისა და დედამიწის სხვა და სხვა მდებარეობა სურათზე აღნიშნულია რიცხვებით. როგორც ხედავთ, **ხუთ** მაისს გალლეის ვარსკვლავი, დედამიწა და მზე იქნებიან ერთ ხაზზე გამწკრივებულნი და რადგანაც კუდი ყოველთვის მზის წინააღმდეგ არის მიქცეული, ამიტომ სიგრძე კუდისა მოუწევს დედამიწამდე და ჩვენი ქვეყანა, მისი მუდმივი თანამგზავრითურთ (მთვარით) გაივლის ამ კუდში.

ასტრონომების აზრით, ამ მოვლენას ჩვენ, უბრალო მომაკვდავები ვერც კი შევნიშნავთ. შეიძლება ზეცა უფრო ნისლიანი, ფერმკრთალი დარჩეს, მორჩა და გათავდა. სხვა მოსალოდნელი არაფერია და ვისაც არ ეცოდინება, რომ ამ დღეს ეს უნდა მოხდეს იმისთვის სრულიად შეუნიშნავიც დარჩება. ცხადია, კუდიანი ვარსკვლავის გრძელი და მოელვარე კუდი, რომლის სიგრძე ხშირად რამდენი ათეულ მილიონ ვერსს უდრის, არ არის მაგარი ნივთიერებისაგან შემდგარი. ესეც არ იყოს 1861 წლის 30 ივნისს ყოფილა ასეთი შემთხვევა, დედა მიწასა და მთვარეს გაუვლიათ ვარსკვლავის კუდში, მაგრამ ამით დედა-მიწაზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ნ. კალანდაძე.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! როგორც იყო ვეღირსე „თანხმობას", ბ. სანდრო ჭაჭანაშვილისაგან, რომ ჩვენი საქმე სამედ. სამართალმა ჩემი რწმუნებულის თანდასწრებით გაარჩიოს, მაგრამ ერთი რამ კი ვერ გავიგე ბ. ჭაჭანაშვილის. „მათრახ სალამურის" № 7-ი ის სწერს: „მე მხოლოდ ჩემი სიმართლის აღდგენა მაინტერესებს და არა სხვა რამეო". დღე გაარჩიონ საქმე მედიატორებმა და ამასაც ვნახავთ... ხოლო წინანდელ ბრალდებას მე ვუმატებ კიდევ იმას, რომ ბ. სანდრო ჭაჭანაშვილი სისტემატიურ პროვოკაციას ეწევა როგორც ჩემს წინააღმდეგ აგრეთვე ორ სხვაზედაც, რასაც შესაძლებელია არა სასურველი შედეგი მოჰყვეს...

კიდევ ვსთხოვ, პატივცემულ მედიატორებს, რომ სამ. სასამართლოს განაჩენი უსათუოდ ვრცლად, ამავე „მათრახ-სალამურ"-ში გამოუშვან. რაც შეეხება საქმის გარჩევის ვადას,—მოვახსენებ ბ. ჭ.-შვილს, რომ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა, ორ კვირაში ვერ გაუგზავნი ჩემს რწმუნებულს მას, რადგან მისი დასახელება არ შემეძლება, სხვა და სხვა საქმეების გამო, მამასადამე, ვერც სასამართლო შესდგება ამ ხნის განმავლობაში.. შემდეგ კი ინებოს...

პატივისცემით გ—ლი.


წელიწადი **1910 წლისათვის** მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**




ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

**პრემიათ გაეგზავნება**

**ახალი კრებული**

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе.


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა" რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

# დაფიქრებული რედაქტორი იუმ. ჟურნალისა.



ძიძა. ბ-ნო, ჩვენი პატარა დღეს ერთობ სუსტი და მოწყენილია.



რედაქტორი. რაო? სუსტი?.. მოსაწყენი?.. კალათში, კალათში!! Съ рис. Кочи (Прага).